

აუგმენტური და ალტერნატიული კომუნიკაციის
გავლენა ცხოვრების ხარისხზე

მარიამ გელაშვილი

*კვლევითი პროექტი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და მეტყველების კვლევის
მეთოდების სალექციო კურსის მოთხოვნების შესაბამისად*

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატალია ჯამასპიშვილი

თანახელმძღვანელი: ელენე წკრიალაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2025

აბსტრაქტი

შეზღუდული რეცეპტული და ექსპრესიული ენის მქონე პირებისთვის კომუნიკაცია წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას, რაც აისახება როგორც მათი ყოველდღიურ ცხოვრების ხარისხზე, ასევე მათი ოჯახის წევრების ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობაზე. უკვე ხუთ ათწლეულზე მეტია, რაც, სფერო ცნობილი სახელით, როგორც „აუგმენტური და ალტერნატიული კომუნიკაცია“ (ააკ) მიმართულია ხელი შეუწყოს კომუნიკაციის გაუმჯობესებას. უკანასკნელ წლებში საქართველოში დაიწყო ააკ-ს სისტემების გამოყენება, თუმცა მისი ეფექტიანობის შესახებ ადგილობრივ დონეზე სამეცნიერო მტკიცებულებები მწირია.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის კვლევის მიზანია შეფასდეს ააკ ინტერვენციის გავლენა კომუნიკაციის შეფერხების მქონე ბავშვების კომუნიკაციის უნარებზე და მათი და მათი მშობლების ცხოვრების ხარისხზე. ჩატარდა რაოდენობრივი, კვაზი-ექსპერიმენტული დიზაინის კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 40-მა კლინიკური შეფასებით კომუნიკაციის მნიშვნელოვნად შეფერხების მქონე აუტისტური სპექტრის ბავშვმა (ასაკობრივი ზღვარი 4 – 18 წელი) და მათმა მშობლებმა. 20 ბავშვი იღებდა ააკ ინტერვენციას ბოლო 7 თვის განმავლობაში, ხოლო 20 ბავშვს არასდროს მიუღია ააკ ინტერვენცია. შეფასებისას გამოყენებული იყო ორი სახის ინტრუმენტი: საკომუნიკაციო მატრიცა და ცხოვრების ხარისხის კითხვარი, რომელიც მოიცავდა მშობლების ცხოვრების ხარისხისა და ბავშვების ცხოვრების ხარისხის შეფასებას მშობლის პერსპექტივით დანახული. ააკ ინტერვენციის მქონე ჯგუფის ბავშვების კომუნიკაციის შეფასებისას გამოყენებულ იქნა მათი კომუნიკაციის შეფასების პრე და პოსტ საკომუნიკაციო მატრიცის მონაცემები. მონაცემთა ანალიზისთვის გამოყენებული იქნა SPSS პროგრამა.

მიღებულმა შედეგებმა ცხადყო, რომ ააკ ინტერვენციამ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გაუმჯობესება აჩვენა კომუნიკაციის უნარებში. საშუალოდ, დაფიქსირდა კომუნიკაციის 122%-ით გაზრდილი ქულა საკომუნიკაციო მატრიცის მიხედვით, რაც მიუთითებს მნიშვნელოვან პროგრესზე კომუნიკაციის გამოხატვის მიზნებისა და ფორმების მიხედვით 7 თვიანი ინტერვენციის პერიოდში. ბავშვების მიმართულებით ცხოვრების ხარისხის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი უპირატესობა არ გამოიკვეთა, მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობრივად მაღალი ქულა მიიღეს. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება აჩვენა ცხოვრების ხარისხმა მშობლების მიმართულებით. რაც მიუთითებს იმაზე, რომ ბავშვების კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესება პირდაპირ აისახა მშობლების ყოველდღიურ მდგომარეობასა და ემოციურ კეთილდღეობაზე.

შესაბამისად, ააკ ინტერვენციამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა რეცეპტული და ექსპრესიული ენის სირთულის მქონე აუტისტური სპექტრის ბავშვების კომუნიკაციის უნარები და მათი მეურვის/კანონიერი წარმომადგენლის ცხოვრების ხარისხი.

საკვანძო სიტყვები: აუგმენტური და ალტერნატიული კომუნიკაცია, ააკ, ცხოვრების ხარისხი, კომუნიკაცია, რეცეპტული და ექსპრესიული ენა

Abstract

For individuals with limited receptive and expressive language abilities, communication presents a challenge that affects on daily quality of life and their and their family member's psychosocial well-being. For over five decades, the field of Augmentative and Alternative Communication (AAC) supports individuals with complex communication needs. Although AAC systems have recently begun to be implemented in Georgia, there is a lack of scientific evidence regarding their local effectiveness.

This master's thesis aims to evaluate the impact of AAC interventions on the communication abilities of children with communication challenges and on their and care givers' quality of life (QOL). A quantitative, quasi-experimental research design was employed, involving 40 caregivers and their children with autistic spectrum (aged 4 to 18) with clinically diagnosed significant communication impairments. Twenty children had received AAC intervention over the previous seven months, while the remaining twenty had not been exposed to AAC. Two tools were used for data collection: the Communication Matrix and a Quality of Life Questionnaire, which assessed both the children's and parents' quality of life from the parents' perspective. For the AAC group, pre- and post-intervention communication matrix data were collected. Data analysis was conducted using SPSS, employing T-tests, Paired Samples T-tests, and ANOVA.

Findings revealed that AAC intervention resulted in a statistically significant improvement in communication skills, with on average, a 122% increase in communication scores was recorded based on the Communication Matrix, indicating significant progress in the purposes and forms of communication expression during the 7-month intervention period. While changes in the children's quality of life were not statistically significant, children in the AAC group showed higher numerical scores. On the other hand parents of AAC group children demonstrated statistically significant improvements in their quality of life, suggesting a direct positive effect of enhanced child communication on parental well-being.

In conclusion, AAC intervention significantly improved the communication skills of children on the autism spectrum with language difficulties and positively influenced the quality of life of their caregivers.

Key words: Augmentative and Alternative Communication (AAC), Quality of Life (QOL), Communication, receptive and expressive language